საქართველოს ორგანული კანონი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 08.12.2009, მუხ. 300) 66^{20} მუხლის მე3 და მე4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. იუსტიციის მსმენელს უფლება აქვს, სკოლას წარუდგინოს მოთხოვნა მისი პერსონალური მონაცემების (მათ შორის, დამოუკიდებელი საბჭოს შეფასების) გასწორების, განახლების, შევსების ან დაბლოკვის, ამ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, მათი წაშლის ან განადგურების თაობაზე, თუ არსებობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე15–მე17 მუხლებით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძველი.

4. ამ მუხლის მე3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში იუსტიციის მსმენელის მიერ მოთხოვნის წარდგენა, აგრეთვე მისი განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე15–მე-17 მუხლებით დადგენილი წესებით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2024 წლის 1 მარტიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

13 ივნისი 2023 წ.

N3124-XIმს-Xმპ